

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება №48
04. 12. 2008 წელი

სტუ-ს დებულებაში “არჩევნების ჩატარების შესახებ“
ცვლილებების შეტანის თაობაზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ადგენს:

- 1) შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს დებულებაში “არჩევნების ჩატარების შესახებ“ და დაემატოს 39-ე მუხლი.
- 2) 39-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
რექტორის არჩევნების დროს, არჩევნების სამართლიანობის და გამჭვირვალობის, კონკურსის, საჯაროობის, აკადემიური საბჭოს ეფექტური მუშაობისა და საარჩევნო პროცესზე დამკვირვებელთა უკეთ დაკვირვების მიზნით, უშუალოდ აკადემიური საბჭოს სხდომაზე დაუშვებელია გარეშე პირების დასწრება, დამკვირვებლებისათვის საარჩევნო პროცესზე თავისუფლად და გამჭვირვალედ დაკვირვების მიზნით გამოყოფილ დარბაზში უნდა დამონტაჟდეს სპეციალური აპარატურა (მონიტორები და სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებები.) გარდა ამისა, უნდა მოხდეს საარჩევნო პროცესის ჩაწერა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, რათა დამკვირვებელთა პრეტენზიების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს ჩანაწერის საშუალებით პრეტენზიის საფუძვლიანობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს თავჯდომარის მ.შ.
პროფ.

ა. ფრანგიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მდივანი, პროფ.

გ. სალუქვაძე